



ახალი ბანათლები

2015 წელი, 11 - 17 ივნისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№22 (696) ბაზრობის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



**ბანათლებისა და
მეცნიერების
მინისტრი
თამარ სანიქიძე
მე-200 სკოლაში
მიმდინარე
სარეაბილიტაციო
სამუშაოებს გაეცნო**

გვერდი 2

„ბავშვთა ქორწინებით“ გამოწვეული პრობლემები და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი რეგულაციები

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება და ორსულობა საქართველოშიც პრობლემაა – 15-19 წლის ყოველი 1000 გოგონადან, საშუალოდ, 39 მშობიარობს, უფრო დაბალი ასაკის გოგონების გათხოვებისა და მშობიარობის შემთხვევები კი, საერთოდ, ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩება.

ადრეულ ასაკში ქორწინების მაჩვენებლით საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ადრეული ქორწინების შესახებ ზუსტი სტატისტიკის არქონის მიუხედავად, საჯარო სკოლების მაღალ კლასებში სწავლას, ყოველწლიურად, ასობით მოსწავლე წყვეტს, უმრავლესობა – დაოჯახების მიზნით.

სახალხო დამცველი პარლამენტს წინადადებით მიმართავს, შეცვალოს არასრულწლოვანთა, 16-დან 18 წლამდე მოზარდთა, ქორწინებაზე თანხმობის წესი. მიიჩნევს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება ალქმული უნდა იყოს, როგორც ქალის მიმართ ძალადობა. ინიციატივის თანახმად, სამოქალაქო ქორწინების კოდექსში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე ნებართვის უფლებას მხოლოდ სასამართლო გასცემს და შეისწავლის ქორწინებისთვის პატივსაღები მიზეზის არსებობას.

გვერდი 4

კონკურსი

ბარემოს დასვინსა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში კონკურსის გამარჯვებულები

გვერდი 3



გვერდი 7

„მე ვხატავ მზეს –
იყოს მშვიდობა“



ინფორმაცია

სამუშაო შეხვედრა ბორჯომში



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემატურად ატარებს საქართველოში არსებული სკოლების დირექტორებთან და მასწავლებლებთან ინფორმაციულ, ანალიტიკურ შეხვედრებს...

ბორჯომის №3 სკოლაში გამართულ შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ პედაგოგებს განათლების სისტემაში არსებული სიახლეები გააცნო. საუბარი შეეხო ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებებს...

საინფორმაციო პრეზენტაციის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა პედაგოგების შეკითხვებს უპასუხა.

ლია გიგაური: „ჩვენ სისტემატურად ვხვდებით სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს. დღევანდელი შეხვედრა აქტუალურია იმით, რომ სასწავლო წელი მთავრდება და ძალიან ბევრი საკითხი გადისა და დასაჭერელი, შედეგები გასაზიარებელი...“

გეგმის ფოკუსზე, ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი: „მსგავსი შეხვედრები, სამინისტროსა და სკოლებს შორის სწორი კომუნიკაციის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია...“

სათუნა ხარაზიშვილი, ბორჯომის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი: „ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო იმ ძირითად მიმართულებებსა და რეფორმებზე, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარეობს...“

ლალი თედიაშვილი, ბორჯომის მე-6 საჯარო სკოლის პედაგოგი: „მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, დროული და საინტერესო. მივიღეთ ძალიან ბევრი ინფორმაცია...“

ვენელოვანი იყო ის, რომ ყურადღება მახვილდება სკოლების უსაფრთხოებაზე. მართალია, მანდატურის სამსახური ძალიან კარგად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას...

საინტერესო იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სექტორთან დაკავშირებული განმარტებები. ეს სიახლეა ჩვენთვის, მაგრამ, ვფიქრობთ, მალე ჩავერთვებით, გავცნობთ, დოკუმენტიც უფრო დაიხვეწება და ბევრის მომცემი იქნება როგორც პედაგოგისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.“

ერთად გავაუმჯობესოთ პროფესიული უნარები - ტურიზმის პროცესი 2015

იტალიის ქალაქ ტურინში, ევროპული განათლების ფონდის (ETF) ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „ერთად გავაუმჯობესოთ პროფესიული უნარები - ტურიზმის პროცესი 2015“...

საქართველოს მხრიდან აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები - ქეთევან ნატრიაშვილი და გიორგი შარვაშიძე.

ლონისძიების ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ევროპული განათლების ფონდის (ETF) დირექტორთან, მადლენ სერბანთან, ETF-ის ოპერაციული მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, არჯენ ვოსთან და ETF-ის მენეჯერთან, ტიმო კუსელასთან...

ზემოაღნიშნული კონფერენცია დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, ერთმანეთს გაუზიარონ პროფესიული განათლების სექტორში არსებული თანამედროვე ტენდენციები, ადამიანური რესურსების განვითარების პროფესიული შესაძლებლობები გლობალური პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური განვითარების კონტექსტში.



საქართველოში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლები იმყოფებიან

გრძელდება მუშაობა მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის კუთხით. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის (MIT) წარმომადგენლებს შეხვდა...

სწორედ ამ პროცესის წარმართვისათვის და კომერციალიზაციის პოტენციალის შესაფასებლად, პროექტში მონაწილეობენ ექსპერტები მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან. უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანი-



შეხვედრა.

პროექტი ორ ფაზადაა დაყოფილი. პირველი ფაზა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, სამეცნიერო ტექნოლოგიური მიღწევების, გამოგონებების, ასევე, ტექნიკური ბაზისის აღწერას მოიცავს...

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სპეციალისტები ქართულ მხარეს, არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის საერთაშორისო ბაზარზე წარმოსაჩენად, კონტაქტების დამყარებასა და შესაბამისი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში დაეხმარებიან.

როგორც მონაწილე ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოს, საკმაოდ ბევრი მიმართულებით, მნიშვნელოვანი ინოვაციები აქვს, რომლებსაც მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება თავისუფლად შეუძლიათ.

თამარ სანიკიძე: „საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალის შესწავლის პროცესის წარმართვისათვის და კომერციალიზაციის პოტენციალის შესაფასებლად, მეცნიერების განვითარებისა და მართვის მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, აქტიურად გრძელდება მუშაობა...“

ირაკლი ქაშიბაძე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე: „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების სააგენტო ახორციელებს კვლევით პროცესს, რომლის მიზანია სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების კომერციალიზაციის პოტენციალის შესწავლა...“

გამართა შეხვედრა განათლების მინისტრთან, თამარ სანიკიძესთან მომავალ გეგმებთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ეკონომიკის განვითარებაში მეცნიერთა ჩართულობა უფრო მაღალი და ეფექტური იყოს, გაიზარდოს კერძო ბიზნესისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აქტიური თანამშრომლობა და საქართველოდან მეტი ინოვაციური ქართული პროდუქტი, მეტი ტექნოლოგიები გაიყვანოს მსოფლიო ბაზარზე.“



„მე ვხატავ მზეს – იყოს მშვიდობა“

ამა წლის 1 ივნისს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურმა, სსიპ კინოცენტრმა „აფხაზეთი“, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირმა „მომავლის ხმა“, სამშვიდობო შემოქმედებითი ინიციატივების ფარგლებში, ჩატარა ბავშვთა მსოფლიო საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია-მანიფესტაცია „იყოს მშვიდობა“.

ლონისძიებში მონაწილეობდა აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობა, აფხაზ, სომეხ, რუს, უკრაინელ და აზერბაიჯანელ თანატოლებთან ერთად, აგრეთვე, პედაგოგები, სტუდენტები, ინტელიგენციისა და მთავრობის წარმომადგენლები, დედაქალაქში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეები.

მოენყო მონაწილეობის მხატვრული ნამუშევრებისა და ფოტოების გამოფენა ღია ცის ქვეშ, ასფალტზე ხატვა – „მე ვხატავ მზეს“, საზეიმო კონცერტი „ვუმღერებ მშვიდობას“, მხატვრული კითხვის კონკურსი – „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე“.

პროექტში მონაწილეობდნენ: აფხაზეთის №2 და №3 საჯარო სკოლები, ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი, პედაგოგები, სტუდენტები, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წევრები და მათთან დამეგობრებული ფოლკლო-

რული ანსამბლისა და თბილისის №104 საჯარო სკოლის აღსაზრდელები, თბილისის სხვადასხვა რაიონებში კომპაქტურად ჩასახლებული ბენეფიციარები.

ლონისძიების მიზანი იყო: შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენა, მათი აქტიური ჩართულობა სამშვიდობო ინიციატივებში, შემოქმედებითი აქტივობების განვითარება, მშვიდობის მსოფლიო დღის მნიშვნელობის გააზრება, საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში სხვადასხვა ეროვნების ბავშვებისადმი მათი საყოველთაო მხარდაჭერა.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ და დღესასწაული მიულოცეს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ **როლანდ ნიჟარაძემ**, საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილემ **მედიკო კვარაცხელიამ**, პროექტის საპატიო სტუმარმა **გულიკო ბესელიამ**, შპს „სუფთა გარემოს“ დირექტორმა **ელგუჯა ბალატურამ** და სხვ.

სხვადასხვა ნომინაციაში – „წლის საუკეთესო შემოქმედ“ და „საუკეთესო დეკლამატორი“, ასფალტზე ხატვის კონკურსში „მე ვხატავ მზეს“ გამარჯვებული, „საუკეთესო მომღერალი“ – გამოვლენილი პრიზიორი ბენეფიციარები – **ელენე კოპალიანი, მარიამ მაისურაძე, მარიამ კუბატაძე, ლუკა მა-**



ხარაშვილი, ჟანეტა ბაგდასარიანი, ნუკრი ხარბედია, ქრისტე და მარი შაშიაშვილები, ლიკა კოპალიანი, ონისე რობაქიძე, სალომე ჯოლოგუა, საბა ანთაძე, ქრისტინე ჯობაგა და სხვები – დაჯილდოვდნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ და შპს „სუფთა გარემოს“ სპეციალური დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

საყოველთაო მიმართვის ტექსტი მსოფლიოს ბავშვებისადმი, 150 მოზარდის ხელმოწერით, გადაეგზავნა მსოფლიოს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას. ლონისძიების სპონსორი – შპს „სუფთა გარემოს“ ხელმძღვანელობა ნაყინით, ტკბილეულითა და ფერადი ბუშტებით გაუმასპინძლა ზეიმის მონაწილეებს.

ლონისძიების მხარდაჭერები იყვნენ: ქალაქ თბილისის მერია, აფხაზეთის ა/რ მთავრობა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრი.

იზონარა პარაია
პროექტის ორგანიზატორი,
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის
სამინისტროს სსიპ კინოცენტრ
„აფხაზეთის“ უფროსი სპეციალისტი



სასკოლო აქტივობა

თოჯინები „ცისკარის“ სხვენში

თამაში ბავშვების საყვარელი საქმიანობაა. თოჯინა კი – ზოგჯერ მათთვის ყველაზე ახლო მეგობარი. ბავშვების წინაშე ხშირად გამოუსწორებელ შეცდომას ჩავდივართ, მოურიდებლად ვართმევთ სათამაშოებს და ხელში კალამსა და ნიგნს ვაჩიჩებთ. თამაშიდან სწავლის პროცესში გადასვლას მტკიცუნულად განიცდიან პატარები და სკოლისადმი მტრული დამოკიდებულება უმაღლ იჩენს თავს. მშობლებიცა და პედაგოგებიც ვარდევთ ბავშვთა უფლებების კონვენციას, რომ „ყველა ბავშვს აქვს თამაშის უფლება“.

სამ ივნისს სკოლა-ლიცეუმის „ცისკარი“ სხვენში (სინამდვილეში ეს სხვენი საოცრად ლამაზი დარბაზია), ამავე სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, შედგა თოჯინების თეატრის სპექტაკლის „ქალთევზას“ პრემიერა. სკოლასთან არსებული თოჯინების თეატრი უკვე ოთხი წლისა და როგორც მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, საბავშვო პოეტი და ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე, **მარიამ რობაქიძე** ამბობს, თეატრის შექმნის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ბავშვებისთვის დიდი სიხარული მოეტანა და სასკოლო გარემო მათთვის სასურველი გამხდარიყო. ასეთი აქტივობები ბავშვებს სხვადასხვა უნარჩვევას უვითარებს – სწავლობენ გუნდურ მუშაობას, ეხვეწებათ ხელის მოტორიკა და გამომეტყველებითი კითხვის უნარი.

მარიამ მასწავლებელმა ერთი საინტერესო საიდუმლოც გაგვიხილა – თურმე, სპექტაკლი „სამი გოჭი“ იყო ერთგვარი აქცია დევით: „დავუბრუნოთ სათამაშოებს მეორე სიცოცხლე“. სპექტაკლი გადაყრილი და კუთხეში მიგდებული სათამაშოებით აანწყევს, ხოლო სპექტაკლი, „მზე ყველას ეყოფა“, ბავშვებმა ნახატებითა და ჯოხებით შექმნეს. სასცენო დეკორაციებსა და პანოებს პატარა „ცისკარელები“ ხელოვნების მასწავლებელთან, **ლალი ფილაურთან**, ერთად ქმნიდნენ სკოლის სამხატვრო სახელოსნოში. მუსიკის მასწავლებელი **ლალი იაშვილი** თითოეულ სასცენო სიმღერას დეტალურად ამუშავებინებდა ბავშვებს სტუდიაში.



სპექტაკლ „ქალთევზას“ ბედნიერი დასასრული ჰქონდა. კულისებიდან რიგრიგობით გამოვიდნენ I-II-III-IV კლასელები. ზოგი ღრუბელი იყო, ზოგი – მზე, ხე, დელფინი, ყვავილი, ქალთევზა, პრინცი, მეფე და ა.შ. უხარიათ და სახეები უბრწყინავთ ბავშვებს.

როგორი მომავალი გვინდა ჩვენ? როგორი თაობა უნდა აღზარდოს სკოლამ? რა არის ამისთვის საჭირო? – ეს საკამათო და რიტორიკული კითხვებია. იქნებ ღირდეს, დავუჯეროთ დიმიტრი უზნაძეს, რომ „სწავლა გარდამავალი ეტაპია თამაშსა და შრომას შორის“.

„ცისკარი“ ისევ ისმის აპლოდისმენტები. სხვენიდან თუ

გადმოიხედებით, წმინდა ნიკოლოზის ტაძრის გუმბათს დაინახავთ. აქ შერწყმულია სულიერება, ჰუმანიზმი და ბავშვებზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

მაია რაჭველიშვილი

P.S. სტატია უკვე დაწერილი იყო, რომ მარიამ რობაქიძე საუკეთესო პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მწერალთა კავშირმა მაყვალა მრეწველობის სახელობის დიპლომით დააჯილდოვა. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და „ცისკარის“ დამაარსებელი დეკანოზი მამა ბესარიონი ულოცავენ მარიამ მასწავლებელს ამ დიდ წარმატებას.



სასკოლო აქტივობა

ლიტერატურული საღამო



საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნში“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას. ამის დასტურია ის მრავალფეროვანი პროექტები, რომლებიც წლების მანძილზე ხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი პროექტის ფინალი ლიტერატურული საღამო „მე დაგვრუნდები!“ 20 მაისს გაიმართა. საღამო მიეძღვნა მირზა გელოვანისა და ომში დაღუპული ქართველი გმირების ხსოვნას.

მონაწილეობდნენ „სადუნის“ მოსწავლეები: მეშვიდეკლასელები – ლუკა კახიანი, ნიკა უნგიაძე, ნიკოლოზ კვეციანი, ავთანდილ მანჯავიძე, თემურ ჯღამაძე, ელენე მეფისწყედიძე, მარიამ უგულავა, გიორგი ზანგურაშვილი, ლუკა ბაიდაური, ცოტნე დავითაშვილი, ნიკოლოზ ღუნაშვილი, ნიკოლოზ მოდებაძე, შოთა ანდლულაძე, ლაშა ჯანგიერაშვილი, რამაზ შენგელია, თამარ შიოლაშვილი; მერვეკლასელები – ტატო გაგნიძე, ლუკა დევიძე; მეთორმეტეკლასელები – ლუკა ქათამაძე, დათა იორდანაშვილი, საბა ტურძელაძე, ვალერი სამსონიძე და მესამეკლასელი ნინო არჩვაძე.

ნა სკოლის წლის პროექტი „მე დაგვრუნდები!“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ესთეტიკის კათედრის გამგე ნინო ცინცაძე. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ პედაგოგები: ნათია მეტრეველი (ქორეოგრაფია), დარეჯან ჩხილაძე (ეოკალი), გივი ჩხეიძე (ხმის რეჟისურა), ასევე ლიტერატურ-

რისა და ისტორიის კათედრები. მოსწავლეები დიდი ინტერესითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას, მოიძიეს მასალები ეპოქის შესახებ, შეისწავლეს პოეტ მირზა გელოვანის პოეზია, პუბლიცისტიკა და ლირსეულად წარდგინეს მაცურებლის წინაშე.



აკაკი – მარად მიჯნური საქართველოსი



144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – ირმა ხუციშვილი), აკაკი წერეთლის საიუბილეო წელთან დაკავშირებით (1840-2015), 1-5 ივნისს, მოეწყო კვირეული სახელწოდებით – აკაკი – მარად მიჯნური საქართველოსი!

კვირეულის ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია თემაზე – „სჯობს მონობაში გადიდვაცხელს თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“. მონაწილეობდნენ IX კლასის მოსწავლეები, პედაგოგები – ეკა გოგუა, ხათუნა ჩოქური. ბავშვებმა წაიკითხეს აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მიხედვით მომზადებული ნარკვევები, ჩანახატები, ესეები, შემდეგ მოაწვევს განხილვა და დისკუსია.

გაიმართა ნახატების გამოფენა (პედაგოგი – ფიქრია შათირიშვილი). ბავშვებმა დაასურათეს აკაკის ლექსები, მოთხრობები, „ჩემი თავგადასავალი“. VII-კლასელებმა მოამზადეს კედლის გაზეთები და სტენდები: აკაკის ხელნაწერები და აკაკი წერეთლის ოჯახური ალბომი (პედაგოგი – მერი ზარამია).

IV კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ლიტერატურული საღამო „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო...“ ბავშვებმა გაა-

ცოცხლეს აკაკის ცხოვრების ეპიზოდები ძიძასთან, სოფელ სავანეში, გიმნაზიის წლები, „ვაშლი და შაქარა“, „ყმანვილი და პეპელა“ (პედაგოგი – მაია ცომაია).

დოკუმენტური ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ჩვენების შემდეგ, IV-IX კლასების მოსწავლეებმა გამართეს დისკუსია, გაისხენეს აკაკი წერეთლის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული სხვა ფილმები (პედაგოგები – ქეთი ქათამაძე, მარინა ხუბუა).

კვირეულის ფარგლებშივე, IX კლასში ჩატარდა ლია ინტეგრირებული გაკვეთილი – ქართული, გეოგრაფია, მუსიკა, ისტ (პედაგოგები: ეკა გოგუა, ლია გულვერდამილი, მარინე კელეპტრიშვილი). მოსწავლეებმა ჭიათურის მარგანცის აღმოჩენასთან დაკავშირებული ისტორია მოიძიეს და ამ საქმეში აკაკი წერეთლის ღვაწლზე ისაუბრეს. შეადგინეს ასოციაციური რუკა და წარმოადგინეს სლაიდ-შოუ.

მარინა გამცემლიძემ, II კლასში, წარმოადგინა სილუეტების თეატრი, ბავშვებმა დაამზადეს თოჯინები და გააცოცხლეს აკაკის „ღამურა“, ასევე მის მიერ თარგმნილი ივანე კრი-

ლოვის იგავ-არაკების პერსონაჟები. პატარებმა საინტერესოდ გაახმოვანეს „მგელი და კრავი“, „გლეხი და ცხვარი“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“...

კვირეულის ფარგლებში, დადგით სატირულ-იუმორისტული სპექტაკლი „კუდაბზიკეთი“ (პედაგოგები: ქეთი ქათამაძე, მარინე კელეპტრიშვილი, ფიქრია შათირიშვილი). მოსწავლეებმა წარმოადგინეს იმპროვიზებული არჩევნები კუდაბზიკეთში, სადაც ტილისა და რწყილის მომხრეები თავდაუზოგავად ამცირებენ ერთმანეთს, კინკლაობენ, დავობენ, ბოლოს მკითხავეს კი მიმართავენ დახმარებისთვის. გიორგი ქართველიშვილი, იგივე აკაკი წერეთელი, მოუწოდებს კუდაბზიკელებს, ღვთისმშობლის ლოცვით გადაირჩინონ თავი.

ქეთი ქათამაძე
თბილისის 144-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი



ინფორმაცია

რა არის ტოლერანტობა?

ლექსიკონი „ტოლერანტობას“ განმარტავს, როგორც ადამიანის შესაძლებლობას, აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა და ღირებულებები.

წმენდა კითხვები: რა ხდის ადამიანს ტოლერანტულს? არის ეს ადამიანის თანდაყოლილი თვისება თუ ცხოვრებისეული გამოცდილებით ფორმულირებული უნარი? პასუხი, როგორც ყოველთვის, ოქროს შუალედშია.

ერთი მხრივ, ადამიანის ქვეცნობიერი ისწრაფვის ნებსრიგისაკენ. ადამიანს ქაოსში არსებობა და ბედნიერების პოვნა არ შეუძლია, ჯანსაღი გონების ქმედებები ყოველთვის მიმართულია ნებსრიგის დამყარებისაკენ. ნებსრიგისთვის აუცილებელია საზოგადოების სხვა წევრებთან მშვიდობიანი თანაარსებობა. ამის მისაღწევად კი ტოლერანტობა ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ის შეესაბამება ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას ჰარმონიულად თანაარსებობდეს თავის გარემოცვასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შინაგანი ხმა ხშირად ითრგუნება გარეუმი ფაქტორებისა და სხვებისგან ნასწავლი ცრურწმენების ზეგავლენით.

ტოლერანტობის ოპოზიცია გავლავთ ადამიანის სურვილი, სხვები დაარწმუნოს საკუთარი აზრის სისწორეში და თუ ტოლერანტობას მოაქვს ჰარმონია და ნონანსრობა, სხვებისთვის საკუთარი აზრის თავზე მოხვევას მოსდევს ქაოსი. ხშირ შემთხვევაში ქაოსი რადიკალურ სახეს იძენს და სავალალო შედეგებით მთავრდება. ისტორიაში უხვად გვხვდება იმის მაგალითები, თუ როგორ სდევნიდნენ უმცირესობის წარმომადგენლებს, იქნებოდა ეს რასობრივი, რელიგიური, სექსუალური თუ სხვა სახის უმცირესობა.

ისტორიის მთავარი ფუნქციაა თანამედროვე ადამიანს აჩვენოს, თუ რა შეცდომები დაუშვეს მისმა წინამორბედებმა, რათა მან ეს შეცდომები არ გაიმეოროს. ვინაიდან წარსულში მრავლად იქნა დაშვებული ტოლერანტობის ნაკლებობით გამოწვეული შეცდომა, კაცობრიობას დაუფრთხვდა უხვი მასალა, რომლის შესწავლითა და გათვალისწინებით, მომავალში, მსგავსი შეცდომები შეიძლება თავიდან იქნეს არიდებული.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნებსრიგისა და ჰარმონიისკენ სწრაფვა ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა. ამ სწრაფვის სიძნელეში მოსაყვანად ერთადერთი ლოგიკური გზა ტოლერანტობაა. მაგრამ მხოლოდ ქვეცნობიერი სურვილი საკმარისი არ გავლავთ. აუცილებელია გარე ფაქტორებიც ხელს უწყობდეს ამ მიდრეკილების განვითარებას. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გავლავთ მშობლების ზეგავლენა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენი იდეების უდიდესი ნაწილი ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებებით განისაზღვრება. ოჯახი და მშობ-

ლები ზეგავლენას ახდენენ ჩვენზე ისევე როგორც, თავის დროზე, მათზე მოახდინეს ზეგავლენა მშობლებმა და ოჯახის წევრებმა. ეს გავლავთ ე.წ. დომინოს ეფექტი, ჯაჭვური რეაქცია, რომელიც სათავეს პირველყოფილ საზოგადოებაში იღებს და რომლის შემკვიდრებაც ჩვენ ვართ.

მეორე ფაქტორი, რომელიც ადამიანის ქცევას განსაზღვრავს, გავლავთ საზოგადოება. ხშირ შემთხვევაში, საზოგადოების როლი იმდენად დიდია ადამიანის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, რომ ის შეიძლება სუროგატ მშობლადაც კი განვიხილოთ.

მესამე და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განათლება. განათლება იმიტომ, რომ მას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს როგორც მშობლების, ისე საზოგადოების ზეგავლენას და, ზოგ შემთხვევაში, სრულიად გააბათილოს.

მაგალითად ავიღოთ რასობრივი დაპირისპირება. ადრე, სამედიცინო განათლების არარსებობის პერიოდში, არსებობდა სხვადასხვა რასასთან დაკავშირებული უამრავი ცრურწმენა, რომელიც გაბათილდა მეცნიერებისა და განათლების მეშვეობით. დღესაც არსებობს სხვადასხვა უმცირესობასთან დაკავშირებული უამრავი ცრურწმენა, რომლის ძირიც გაუნათლებლობაა. ეს ცრურწმენები ხელს უშლის ადამიანს განვიითაროს ტოლერანტობის უნარი, საბოლოო ჯამში, ხელს უშლის საზოგადოების ჰარმონიულ თანაარსებობას.

უნდა აღვნიშნო, რომ განათლებაში არ ვგულისხმობ აუცილებლად სასკოლო ან საუნივერსიტეტო განათლებას. ტოლერანტობის უნარის განვითარებისთვის აუცილებელი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი მოგ ზაურობა და განსხვავებულ საზოგადოებასთან ურთიერთობა გავლავთ. სხვადასხვა ერებისა და რელიგიების წარმომადგენლებთან ყოველდღიური ურთიერთობა შეიძლება ჩაითვალოს იმ განათლებად, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადამიანში ტოლერანტობის გრძობის განვითარებას. მეოცე საუკუნეში საქართველო იზოლირებული იყო სხვა ქვეყნებისა და კულტურების ზეგავლენისგან, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ერის კოლექტიურ ცნობიერებას. საბედნიეროდ, მდგომარეობა გამოსწორდა და საქართველო უკვე აღარ არის იზოლირებული.

მართალია, ჩვენი ერი ჯერ კიდევ წარსული მსოფლმხედველობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, მაგრამ იმედი ვიქონიით, რომ ჩვენი და მომავალი თაობების ძალისხმევით, მდგომარეობა გაუმჯობესდება.

სალომე გახარია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

საგანგებო სიტუაციის იმიტირებული ღონისძიება

თბილისის 147-ე საჯარო სკოლაში საგანგებო სიტუაციების შტაბი შეიქმნა, რომელსაც სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ერთად, სკოლის მანდატური უხელმძღვანელებს. დღეს სკოლას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები ეწვივნენ და, შტაბის წევრებთან ერთად, პრაქტიკული სწავლება განახორციელეს * როგორ მოხდეს მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საგანგებო სიტუაციების დროს (მაგალითად: ხანძარი, მიწისძვრა). სწავლებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაესწრო.

სამომავლოდ, მსგავსი შტაბები ყველა საჯარო სკოლის შენობაში განთავსდება. შტაბების შექმნის პროცესთან ერთად, წელიწადში ორჯერ, ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდება მსგავსი საევაკუაციო ღონისძიებები, რათა ამაღლდეს მოსწავლის, პედაგოგისა და დირექციის ცნობიერება საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში.

დღეიდან, 11 საპილოტე სკოლის ამდენივე მანდატური გადამზადდება საგანგებო სიტუაციების მართვაში, რაც ხელს შეუწყობს მანდატურებს, კიდევ უფრო ეფექტურად იმუშაონ, საგანგებო სიტუაციებში დაიცვან მოსწავლეები და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, თავის მხრივ, კამპანიის „სამოქალაქო უსაფრთხოება სკოლებსა და ბალებში“ ფარგლებში, თბილისისა და რეგიონების მასშტაბით, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აღსაზრდელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, სკოლებსა და ბალებში ანალოგიურ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ახორციელებს.

ამ ტიპის ღონისძიებების მიზანია, საგანგებო სიტუაციების დროს, აღსაზრდელებისა და პერსონალის მზადყოფნა, ასევე, ინციდენტზე კოორდინირებული რეაგირებისთვის საჭირო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

„Aliante 2015“- ის ფინალი

ყველა ადამიანი ცდილობს ცხოვრებაში წარმატების მიღწევას, ზოგი ამისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს, ზოგი ნაცნობ-მეგობრების დახმარებით ცდილობს ვარსკვლავების მოწყვეტას და ზოგიც მხოლოდ საუკეთესო ცოდნის მიღებითა და დაუღალავი შრომის საფასურად...

მეც ერთ-ერთი იმთავანი ვარ, ვინც მხოლოდ საკუთარი თავის იმედითა და საფუძვლიანი განათლების ხარჯზე ცდილობს ცხოვრებაში თავის დამკვიდრებას. თუმცა, ხანდახან ისეც ხდება, რომ დიდი შრომისა და სწავლის მიუხედავად, მაინც ვერ აღწევ დასახულ მიზანს, უბრალოდ არ გიმართლებს და ამის გამო გული გწყდება, რაღაც მომენტში ფარ-ხმალს ჰყრი, ტკივილით სავსე ნუთებს ველარ უძლებ და ფიქრობ: „საერთოდ აქვს კი აზრი ბრძოლის გაგრძელებას?“... სწორედ ასეთი ტკივილიანი და შოკისმომგვრელი ნუთების გადატანა მოუხდა ჩვენს გუნდს, ქეთევან ფიჩხულაშვილისა და თინათინ ჯაჯანიძის შემადგენლობით, საერთაშორისო კონკურსის „Aliante 2015“ ფინალში ჩატარებული ინგლისური ენის ტესტირების შედეგების გამოცხადებისას. საერთაშორისო ფორმატის გამო, ფინალი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, რის გამოც გამოვეთიშეთ ფინალს.

მარაბდის საჯარო სკოლის (დირექტორი - თამარიკო ფიჩხულაშვილი) მოსწავლეთა მონაწილეობა „Aliante 2015“-ში უდიდესი გამოწვევა იყო. კონკურსი გათვლილი იყო სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის და მიზნად ისახავდა კონკურსის მონაწილეებში უსაფრთხოების საკითხების, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ამასთანავე, ხელს უწყობდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას.



ჩვენს გუნდს თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კონკურსის ფინალში მოხვედრა საკმაოდ რთული და ჩვენითვის არც თუ იოლად მისაღწევი იქნებოდა, იმიტომ კი არა, რომ არ ვიმსახურებდით ან ცოდნა და მონდობა გვაკლდა, უბრალოდ, საერთაშორისო მასშტაბის კონკურსში მონაწილეობა არა მარტო ცოდნის მაღალ დონეს, ადამიანურ კონკურსებში მონაწილეობის გამოცდილებასაც მოითხოვდა, რაც, სამწუხაროდ, ჩვენ გუნდს არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, არ შევშინდით, ძალები მოვიკრიბეთ და თეთრინყაროს რაიონის ერთი პატარა და ლამაზი სოფლის - მარაბდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, მთელი სერიოზულობით შე-



ვუდექით სათანადო წყაროების მოძიებას და გუნდური მუშაობით ვცდილობდით თითოეული რაუნდის კითხვებზე გაგზავნილ პასუხებში ზუსტი არსის გამოხატვას. დაუღალავად ვშრომობდით და საუკეთესო შედეგებით გადავდიოდით ერთი რაუნდიდან მეორეში, გვიხაროდა და ბავშვურად, ჩვენითვის ჩუმად, გულში ვოცნებობდით სანატრულ ფინალზე და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბოლოს - გამარჯვებაზეც კი...

ვოცნებობდით, თუმცა ინგლისური ენის არასაკმარისმა ცოდნამ ფინალის გარეშე დაგვტოვა. მართალია კონკურსში ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ სამაგიეროდ ამ პროექტში მონაწილეობით, დაუფინყარი გამოცდილებითა და კონკურსის განმავლობაში მიღებული ცოდნით დავჯილდოვდით.

„Aliante 2015“ დიდი სტიმული იყო ჩვენითვის, ამიტომ დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარიკო ფიჩხულაშვილს კონკურსში მონაწილეობის იდეის მოწოდებისათვის და მხარდაჭერისათვის. ასევე განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი გუნდის ხელმძღვანელს, ისტორიის მასწავლებელს ლეილა ანინაშვილს, რომლის დახმარებითა და თანადგომით შევძელით ფინალამდე მისვლა. მართალია დავთმეთ ფინალი, მაგრამ გავხდით უფრო მოტივირებული ინგლისური ენის კარგად შესასწავლად. ილიას სიტყვებს გავიხსენებ და გეტყვით, რომ „ცოდნა უძლევს ფარია ცხოვრებაში“. ეს ჩვენი გუნდის პირველი ნაბიჯია, შემდეგი უფრო წარმატებული იქნება.

ჩვენი გვეჯერა ჩვენი მომავლის!
We believe our future!

თინათინ ჯაჯანიძე
„Aliante 2015“-ის ფინალისტი,
თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის
მარაბდის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე



სპორტი

სტუ - მეოთხედ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არავის უთმობს საუკეთესო სპორტული უმაღლესი სასწავლებლის ნოდებას. წინა კვირაში დასრულდა „უნივერსიადა-2015“, რომლის გამარჯვებულს სწორედ ეს უნივერსიტეტი გახდა. აღსანიშნავია, რომ ტექნიკოსებმა ამ ღონისძიების ისტორიაში უკვე მეოთხედ მოიპოვეს ეს ნოდება. როგორც წინამორბედები, წლებიდან უნივერსიადაზე წარმომადგენლობითი იყო - მასში 45 უმაღლესი სასწავლებლის 5 000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა, პროგრამაში სპორტის 2 ათეულ სახეობაზე მეტი შედიოდა. ღონისძიება, ტრადიციულად, მოიცავდა შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებს და მათ ინტეგრაციასაც გულისხმობდა.

გამარჯვებული საერთო ქულების დაჯამებით გამოვლინდა, დახურვის სახეობაში ცერემონიალი კი 3 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხერიკაშვილი დაესწრო, რომელმაც მთავარი ჯილდოები გადასცა გამარჯვებული უნივერსიტეტის რექტორსა და თვითმმართველობის თავმჯდომარეს. თუმცა იმ საღამოს საჩუქრების გარეშე არავინ დარჩენილა - დაჯილდოვდა უნივერსიადის ყველა მონაწილე.



კლასიკურისგან: თითო გუნდში 4 წევრია, ხოლო ტაიმების ხანგრძლივობა 8 წუთია, 10-ის ნაცვლად. მთავარი ნოვაცია ისაა, რომ შეტევაში დრო არაა ლიმიტირებული - ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ბავშვებმა რაც შეიძლება, მარტივად და ხალისით აითვისონ სპორტის ეს სახეობა.

პირველი ტურის შემდეგ A ჯგუფში მასპინძელთა „აკადემია“ დაწინაურდა, რომელმაც ორივე პაექრობა მოიგო: „დინამოს“ 47:30 აჯობა, „მარტვეს“ კი - 66:31-ით. ნაგებულებმა თითო მატჩის მოგება მანაც შეძლეს და ორივემ „იბერი“ დაიბრუნა, თუმცა „მარტვესთან“ მხოლოდ ერთი ქულით დამარცხდა - 33:34. „დინამომ“ „იბერს“ უფრო სოლიდურად მოუგო - 42:29.

B ჯგუფში ორხელისუფლიანობაა: აქ „აკადემიას“ მსგავსად, 2-2 მოგებით, აქსე და „ოვერტაიმი“ ლიდერობენ. აქსე-მ „აკადემია-2“ 43:20, „მაკაბი“ კი 47:27 დაამარცხა, ხოლო „ოვერტაიმმა“ აკადემიელებს 58:17, ხოლო „მაკაბის“ 61:45 მოუგო. მეოთხედფინალური წყვილები ბოლო ტურის შემდეგ დაზუსტდება.

ქიულოისტების ტრიუმფი და რთული კალენდარი

საქართველოს ჭაბუკ ძიუდოსტთა ნაკრები დიდი წარმატებით გამოვიდა პოლონურ ბიელსკო ბილაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ეს შეჯიბრება ბოლო შესარჩევი ეტაპი უნდა ყოფილიყო ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის დასაკომპლექტებლად. ამიტომ სამწვრთნელი დეტალურად მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ ირაკლი ცირცხიძისა და მინდია ბოდაველის შემადგენლობით, ყველა სავარაუდო კანდიდატი წაიყვანა, 19 ფალავანი გამოსცადა, რომელთაც 12 მედალი მოიპოვეს: 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 5 ბრინჯაო. ჩვენები გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდნენ იაპონიის შემდეგ. ჩემპიონები გიორგი ნიაზაშვილი (50), გოგა ქვეციანი (81) და ონისე სანებლიძე (90) გახდნენ, ვერცხლის მედალებს ზურაბ კახნიანი (50), ივანე ხუბაშვილი (55), ლაშა დუდაშვილი (73) და გელა ზალიანი (79) დაუფლნენ. ბრინჯაოს მედალები ვაჟა ბუბუნაურმა (50), თემურ ნოზაძემ (55), თენგიზ ჩიტაურმა (60), ბაგრატ ნინიაშვილმა (66) და ზაურ კენჭაძემ (90) მოიპოვეს. ბრინჯაოსთვის კიდევ ორმა ქართველმა იჭიდავა - საბა გრიგალაშვილმა (55) და ნიკა ლაბაძემ (73), თუმ-

ცა დამარცხდნენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენებმა 8 წონიდან 6-ის ფინალში იჭიდავეს! განსაკუთრებით შთამბეჭდავად შეჯიბრების მეორე დღეს - კვირას გამოვიდნენ, როცა ოთხივე წონითი კატეგორიის ფინალში ჰყავდათ მონაწილე, თუმცა ორი მათგანი დამარცხდა. სამაგიეროდ, პირველ დღეს, ერთბაშად ორ წონაში - 50-55-ში, ნახევარფინალში 3-3 ძიუდოსტი გვყავდა (აღსანიშნავია, რომ ამ წონეებში მეტი მონაწილე არც გვყოლია). თუმცა საბოლოოდ უფრო წარმატებით მანაც 50-ში გამოვიდით - ეს იყო ერთადერთი წონა, სადაც ქართული ფინალი გაიმართა, კვარცხლბეკზე კი სამივე ქართველი ავიდა, ანუ ოთხიდან სამი მედალი ჩვენებმა მოიპოვეს. მთლიანი გუნდიდან 6 კაცი დარჩა უმელოდ, თუმცა ნაადრევად მხოლოდ 4 დამარცხდა.

ბუნებრივია, ყველა მედალოსანი გამოსარჩევია და მათი გამოსვლა დასაფასებელია, თუმცა ჭიდაობის ხარისხით საწინებლად გამოვარჩევთ - ძალიან ტექნიკურია და ილეთებს ძალდაუტანებლად, თავისუფლად აკეთებს, აშკარად ილეთის თანდაყოლილი გრძნობა აქვს.

ეს ის ასაკია, რომელმაც ივლისში თბილისურ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იჭიდაოს. იმედია, ეს ბიჭები იქაც და სეზონის სხვა პირველხარისხოვან ტურნირებზეც გაგვახარებენ წარმატებებით, თუმცა წლებიდან კალენდარი მათთვის მეტად არასახარბიელოა. საქმე ისაა, რომ სეზონის მთავარი შეჯიბრება სწორედ თბილისური შეჯიბრებაა. არადა, ის რანგით ჩამორჩება დანარჩენებს, მაგრამ ჩვენთვის მეტად პრესტიჟულია, როგორც საშინაო შეჯიბრება, თან ამგვარ ღონისძიებებში მედალების ლომის ნილი ზუსტად ძიუდოსტებზე მოდის. ამჯერადაც მთავარი იმედი მათ უკავშირდება და აქცენტსაც ამაზე აკეთებენ, ის კი იმ ორი მთავარი ტურნირის შუაშია ჩასმული - ივლისის დასაწყისში სოფიაში ევროპის ჩემპიონატი ტარდება, ივლისის ბოლოს უკვე ჩვენი ფესტივალია, ხოლო მისი დამთავრებიდან 4 დღეში, 5 აგვისტოს, სარაევოში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. ასეთი შემჭიდროებული კალენდრის პირობებში, მწვრთნელებს 2 კი არა, 3 შემადგენლობის დაკომპლექტება უნევთ. აი, ჩვენი ტურნირი რომ ზედ შუაში არ იყოს ჩასმული, კიდევ არა უშავდა, ძალბებს და კადრებს ბევრად უფრო რაციონალურად გადაანაწილებდნენ, მაგრამ ახლა ლიდერები საშინაო ფესტივალის ან მსოფლიოს პირველობის გამოტოვებისთვის განწირულნი არიან - 2 კვირაში 2 შეჯიბრებაში ჭიდაობა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.



რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე



საკალათბურთო ფესტივალის თბილისში

საკალათბურთო აკადემიის დარბაზში თბილისის ფესტივალის დაიწყო მინი-კალათბურთში 2003 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის. მისი ორგანიზატორია ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, რომელსაც ფესტივალის ორგანიზებაში დიდ დახმარებას უწევს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირი და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. ტურნირი უკვე მეორედ ტარდება და აღსანიშნავია, რომ ორგანიზატორები შარშანაც ზემოაღნიშნული გაერთიანებები იყვნენ.

მიმდინარე გათამაშებაში 8 გუნდი ჩაება, რომლებიც 2 ქვეჯგუფში არიან განაწილებული. ისინი ჯგუფებში ერთნაირად ითამაშებენ, რის შემდეგაც გამოვლინდებიან მეოთხედფინალური წყვილები.

მინი-კალათბურთის წესები რამდენადმე განსხვავებულია

Advertisement for 'მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი' (Teacher's Work Repetitive) and other educational materials. It lists various books for sale, such as 'მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი' (3 ლარი), 'მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი' (3 ლარი), 'დაგრიგების პროტოკოლი' (6 ლარი), 'ინტერაქტიური მეთოდების კრებული' (5.50 ლარი), 'მასწავლებლის სამუშაო რეპეტიტივი' (3 ლარი), 'მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით' (3 ლარი), 'კათედრის გაგების პროტოკოლი' (6 ლარი).

შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23





მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანა - ეფი ბრისტი
მიგელ დელიბასი - ორი რომანი
აჰმედ ჰ. ტანვინარი - დროის ინსტიტუტი
შან შინონ - ჰუსარი სასურავა
ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
რაფაელ საბათინი - ღამეული ბართოპანი
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
ჯონ გოლდსუორთი - რჩეული მოთხრობები
ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
მონოტი და ბალზაკი - მამა გორიო
ჰენრი რაბიერ პაბარდი - მონტესუას ასული
ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
გოდეფროი და ლაკლო - სასიყვართო კავშირები
ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
შტეფან ცვაიგი - მოუთმანლობა გულისა
მარგერიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთი ჩინეთიდან
პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
გილგამეტი კ. ჩესტიტონი - დონ კისოტის დაბრუნება
სტივენალი - წითელი და შავი
ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ
ალბერტო მორავია - მოწყენილობა
ალექსანდრე დიუმა - კავკასია
ჯეიმზ უ. კუპერი - ჯაშუში
მარინ რიდი - კვარტალი
ვილჰელმ ჰაუზი - ლინტანტინი
თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
ალბერტ კოენი - დედაჩემი
გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
ეილ ჯოლ - ქალთა პედნეობა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



წიგნი I
ქველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
თითოეული კრებულის ფასი - 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა
კრებულის ფასი - 12 ლარი



სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში


თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი 9 ლარი

ქართველი მწერლები

- 1. ვახუ-ფხაველა (10-ტომიანი) I-VI ტომი, - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი) II, III, IV, V, VI, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომიანი) I-II ტომი - 16 ლარი
4. ედიშარ ყიფიანი (2-ტომიანი) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი) I, II, III, IV, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ ჭიჭიკა (9-ტომიანი) I-VII ტომი - 12 ლარი
8. ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ ჭიჭიკა (6-ტომიანი) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

თითო ტომის ფასი 14 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი




შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის კრეატიული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი - 15 ლარი

12 ლარი
თითო ტომის ფასი

საყვანვილო ენციკლოპედია

- ავტომობილი
ამინდი
სამშრანი
უღაბნო
გამგომნებები
განძის ქიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ქველი ეგვიპტა
ეპროვა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმიკა
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უკველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ქველი რომი
ქველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა პარის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პოეზიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საუკუნო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
2.50 ლარი

მალატი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძველბრძნული საძარტველოში
6. საძარტველო მცენარეები
7. საგზარო წარმოშობა
8. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინამოები
12. თიხური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ძარტველი გეოგრაფიის შეიარაღება და საბავსტარტო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება
4 ლარი

მწერალთა კორტრეტები

(34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. ბიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. პაპი ნეკრემელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პოლო ნაზვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რეაზიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გიორგი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. ბიორგი მერაბი
17. ბრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი
4 ლარი

რეპროდუქციები

- 1. ჰერკულისტა ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
2. მფხმსთა თამბანისცემა - დომენიკო ბირლანდო
3. ადელ ზღო-გაპერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მინიგები - დიეგო ველასკესი
5. დელფინი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლუდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება - რეზანდტი
8. საბანო - ოგიუსტ რენუარი
9. საპირბო გასინება გრან შატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა
6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თამაშური კლასები

ჩოგოს მივიღოთ იშხობოტრ ბავშვი და საკუთოაჩი თავი

ერთ-ერთი მთავარი შეკითხვა, რომელსაც ხშირად სვამენ მშობლები, ასე უღერს: „როგორ მოვახერხოთ, რომ რამის აკრძალვისას ან მოთხოვნისას ბავშვს არ მივაყენოთ მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა?“ კითხვა საკვებით ნათელი და ბუნებრივია – ხშირად მშობლები ბავშვობისას მიღებულ ტრავმას მოზრდილ ასაკშიც ვერ ივინყებენ. ბევრი ფსიქოლოგსაც კი მიმართავს საკუთარი თავის საპოვნელად, საკუთარ სურვილებში გასარკვევად. თითქმის ყველა ზრდასრულ ადამიანს აქვს ბავშვობაში განცდილი უსამართლობის, გაუცხოების, უარყოფის საკუთარი ისტორია.

რასაკვირველია, ყველა ნორმალური მშობელი ცდილობს, არ დაუშვას შეცდომა, რომელიც თავის დროზე მის მიმართ იქნა დაშვებული და საკუთარი შვილი მყარი ფსიქიკის პიროვნებად აღზარდოს. „ჩემს შვილსაც იგივე რომ გადახდეს, რაც მე თავის დროზე?“ – ეს კითხვა ბევრ მშობელს ანუხებს, ამიტომაც ისინი ხშირად უფრო ხიან შვილისთვის საზღვრების დანესებას და ისევე თავად მიდიან დათმობაზე. იქმნება საპირისპირო სიტუაცია – შვილის ტრავმირების შიშით დედა თავად ხდება მსხვერპლი, ხოლო მისი ფსიქიკური მდგომარეობა დაფიქრებას მოითხოვს. ყველაფერი, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, უკვე ბევრჯერ დანერჩილა და თქმულა. მიუხედავად ამისა, საუბარი თემის აქტუალობის გამო მაინც მიგვანჩნია მიზანშეწონილად. მოდი, გავარკვიოთ ერთი რამ: რას ელის ბავშვი დედისგან? რასაკვირველია, უპირობო გაგებას. უფრო კონკრეტულად, ღრმა, ურყევი, ფუნდამენტური ცოდნას იმისა, რომ ბავშვი კარგი და მართალია. არავისგან ისე არ ველით ამის აღიარებას, როგორც საკუთარი მშობლებისგან. მართლაც, თუ დედა უპირობოდ გვიღებს საკუთარი სიმართლის ფარგლებში, ჩვენც ვცდილობთ, საკუთარ თავს და სხვებს დავუმტკიცოთ, რომ მართლაც ღირსეული ადამიანები ვართ. დაიხ, ჩვენ ვიმსახურებთ სიყვარულს, ყურადღებას, სიუხვეს. თუ ანალოგიური შეგრძნება ბავშობისას არ დავგვეუფლა, ზრდასრულ ასაკში ვცდილობთ დანაკლისის ანაზღაურებას. ბავშვის შიში, დედის თვალში ცუდი არ გამოჩნდეს, სიკვდილის შიშის ტოლფასია. ფაქტობრივად, დედა არა მარტო აჩენს შვილს, არამედ სიცოცხლის უფლებას აძლევს მას. დედამ უნდა აგრძნობინოს პატარას, რომ ის პიროვნებაა. თუ ცხოველი სუსტია, ანომალია აქვს, ბიოლოგიის კანონების თანახმად, მისი გაზრდისთვის შეიძლება არც კი შენუხდნენ, ის, დიდი ალბათობით, დარღუდება. ბავშვი იმდენად დაამოკიდებული უფროსებზე, რომ სათანადო მოვლის გარეშე ვერ გადარჩება. როცა მას უპირობოდ არ იღებენ, პატარას შფოთვა ეუფლება, ზოგჯერ მისთვის აუცილებელია, თავისი უკეთესი მხარე აჩვენოს დედას, მისი კეთილგანწყობა დაიბრუნოს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გასაგებია. „ყველა მშობელს უყვარს შვილი და ზრუნავს მასზე, სხვაგვარად წარმოუდგენელია!“ – შესაძლოა შემეკამათონ ოპონენტები. მართალია, მაგრამ ხშირად მშობლები უკიდურესობაში ვარდებიან, მოქმედებენ პრინციპით „რასაც ბავშვი აკეთებს, ყველაფერი კარგია!“ ზოგჯერ ამ პრინციპით გატაცებული დედა აწყდება შვილის არაადეკვატურ ქცევას, მაგრამ მაინც პასიურობს და საზღვრებს ვერ უდებს მის ქმედებას. დედას ჰგონია, თუ უარყოფითად შეაფასა ბავშვი, ეს თავად ბავშვის უარყოფა იქნება. უმაღლესი ამოქმედდება შვილის (ამ პატარა, სუსტი, უსუსური არსების) ტრავმირების შიში და მორიგი აკრძალვის

გასამართლებლად იწყება უთავბოლო ცეკვა-თამაში. რეალურად კი საუბარია ბავშვის მიღებაზე, სადაც ფსიქოლოგიური ტრავმირების შიში უბრალოდ არ არსებობს, რადგან ჩვენ ბავშვს ვუყურებთ და ვესაუბრებით როგორც ფსიქიკურად და ფიზიკურად ჯანსაღსა და ძლიერს. როგორც სრულფასოვან ადამიანს, მართალია, პატარასა და ჩვენზე დამოკიდებულს, მაგრამ უკვე ძლიერსა და ჭკვიანს, რომელიც დაინტერესებულია, ჩვენთან ითანამშრომლოს და შეხმატებილებულად იცხოვროს. რასაკვირველია, აქ საუბარი არ არის იმ მშობლებზე, რომლებიც შვილებს სცემენ ან უყვირიან (რასაკვირველია, ცუდია, რომ ასე იქცევიან). გვერნმუნეთ, მშობელთა ამ კატეგორიას აზრდაც არ მოსდის, რომ ბავშვს შეიძლება ტრავმა მიაციენოს. ჩვენ იმ მშობლებზე ვსაუბრობთ, რომლებიც ცდილობენ საკუთარ თავში გაერკვიონ და გაიგონ, როგორ უნდა აღზარდონ შვილები ისე, რომ ისინი ბედნიერები იყვნენ.

თუ ამ კონტექსტში ვისაუბრებთ, ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან თემას უნდა შევხებით. შვილის უპირობო მიღება საკუთარი თავის უპირობო მიღებით იწყება. თუ საკუთარ თავს არ აღვიქვამთ სრულფასოვან ადამიანად, ბავშვისთვის ამ შეგრძნების განვითარება ნამდვილად გაგვიჭირდება. მოდი, დავფიქრდეთ, რატომ არიან მშობლები ტრავმირებულინი? რეალურ ძალადობას მხოლოდ ცალკეული ადამიანები განიცდიდნენ, მშობელთა უმრავლესობა კი მეტ-ნაკლებად ნორმალურ ოჯახშია გაზრდილი. ისინი ტრავმირებულინი არიან იმიტომ, რომ მათ გამუდმებით „ზრდიდნენ“ და ზრდასრულ ასაკშიც „ზრდიან“, რათა „ადამიანს დაამსგავსონ“. გარშემო მყოფი ადამიანები შანსს არ უშვებენ, ჩვენს ნაკლებ მივითითონ. ასევე ვიქცევით ჩვენც. ასე „გუშუაობთ“ საკუთარ თავზე, ვესწრაფვით სრულყოფილებას, რომელსაც საზღვრები არ აქვს. არსებობს ორგვარი წარმოდგენა საკუთარ თავსა და გარშემო მყოფ ადამიანებზე (მათ შორის – ბავშვებზეც). პირველი – მე არა ვარ საკმარისად კარგი, ესე იგი რაღაც უნდა გავაკეთო, რათა უკეთესი გავხდენს დედა თამასა, რომელსაც აღწევ, ნორმა, რომელსაც ესწრაფვი, მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებასაც ცდილობ. ასე გრძელდება დაუსრულებლად. ეს არის მუდმივი რბოლა – განვითარება განვითარებისთვის. რასაკვირველია, ასეთი ადამიანები უზომოდ შფოთავენ. ისინი ისე არიან მიჩვეულინი აღწერილი პრინციპით ცხოვრებას, რომ შფოთავს ვერც ამჩნევენ. სამაგიეროდ, კარგად ხედავენ ნაკლს, რომლის აღმოფხვრაც აუცილებელია, რათა ბოლოს „ადამიანს“ დაემსგავსონ. ასეთი ადამიანებისგან შეიძლება მრავალი თვითდამამცირებელი ფრაზა გაიგონოთ: სულელი ვარ; მსუქანი ვარ; მოუხედავი ვარ... სრულყოფილებისკენ სწრაფვის გაქრობა მათთვის დევრადაციისა და სიკვდილის ტოლფასია. არც არავინ დაფიქრებულა, რომ ეს ყველაფერი არის ბავშვური თვისება – დავუმტკიცოთ დედას ჩვენი არსებობის უფლება. უბრალოდ, ახლა ეს დედა კი არა, მთელი სამყაროა. წარმოდგენა მეორე – მე უკვე კარგი ვარ, სწორად ვარ ჩამოყალიბებული, მიუხედავად ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეებისა, შეზღუდვებისა და ტალანტებისა. რაც მთავარია, გამუდმებით ვიზრდები და ვვითარდები. ეს იმიტომ, რომ ადამიანი განუწყვეტელი განიცდის სრულყოფას. სრულყოფის გზა კი ყველას ინდივიდუალური აქვს, თავისი ტემპით, ციკლით, ამოცანებით, მიზნებით. მე ახლა ყველაფერი მაქვს სრულყოფილი ცხოვრებისთვის;



თუ რაიმე ჯერ არ მაქვს, მექნება. როცა ამას მივალწევ, სწორედ ეს იქნება მდგომარეობა, როცა საკუთარ თავს პოულობ. ახლა დაფიქრდით, როგორ უყურებთ საკუთარ თავს და საკუთარ შვილს? პირველ შემთხვევაში შაბლონები მეტ-ნაკლებად სტანდარტულია და გარედან მოდის – ადამიანები ეძებენ მასწავლებლებს, რომლებიც მათ ასწავლიან, როგორ მოიქცნენ სწორად, საკუთარ თავს კი არ უჯერებენ. მართლაც, როგორ შეიძლება, საკუთარ თავს დაუჯეროთ თავად ხომ არც „იდეალური“ ხარ და არც „ამ ცხოვრებისა გესმის რამე“. მეორე შემთხვევაში ადამიანი თავს ინდივიდად აღიქვამს. ასევე ინდივიდს ხედავს საკუთარ შვილში, აძლევს მას უფლებას, იყოს პიროვნება მაშინაც კი, როცა მისგან განსხვავდება. ეს ბუნებრივია – თუ ბავშვი კარგი პიროვნებაა, ის შეიძლება განსხვავებული იყოს. ამ შემთხვევაში ძალიან საინტერესოა შვილზე, მის ინდივიდუალობაზე დაკვირვება. ეს არის უპირობო მიღების საფუძველი, მთავარი ბაზისი. მსგავსი წარმოდგენა უმაღლესი აფხიზლებს მშობლებს, მათ შიშს და თავიანთი ამბიციების მიღმა ისინი უტვებ ხედავენ საკუთარ შვილს, მის შესაძლებლობებს, მის მოთხოვნებს. საზღვრებისა და აკრძალვების დანესება კი მხოლოდ ურთიერთობათა აგებაა, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანთან. ასეთი ურთიერთობისას ბავშვს მაშინ ვეხმარებით, როცა საჭიროა და არა მაშინ, როცა ჩვენ გვგონია, რომ უნდა ჩავეროთ. უნდა ვალიაროთ, რომ ხშირად ჩვენთვის პირველი წარმოდგენა მისაღები. რატომ? იმიტომ, რომ ყოველთვის არსებობს მიზანი, რბოლა, აქტიური საქმიანობის ილუზია. ბავშვის შემთხვევაში კი ეს ყველაფერი საკმაოდ ფართო ასპარეზს გვიშლის მოქმედებისთვის. ჩვენ, წესისამებრ, ძალიან კარგად ვიცით, როგორ „ვიზრუნოთ“ სუსტებსა და არასრულფასოვნებზე – ჩვენი საზოგადოებაც ასეთია. თუკი დავინახეთ, რომ ვინმე ბავშვივით ქმედობაუუნაროა, მაშინვე ვუ-

პოვით საკუთარ თავს „ფუნქციას“. მოდი, დაბადებიდანვე შევხედოთ შვილებს როგორც ჭკვიანებს, ფიზიკურად და ფსიქიკურად ძლიერებს. მართალია, ისინი პატარები არიან, არ შეუძლიათ საკუთარი თავის მომსახურება, აქვთ პირადი თავისებურებები, მაგრამ ისინი საკვებით სრულყოფილები არიან იმ ცხოვრებისთვის, რომელიც წინ ელით. ჩვენ ვეხმარებით ბავშვს ზრდაში და ამისთვის მაქსიმალურად ვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს, ვუვლით მათ, რჩევებს ვაძლევთ, ვუნესებთ საზღვრებსა და აკრძალვებს, მაგრამ არ ვუყურებთ თვალეში სისუსტისა და ნაკლის საპოვნელად. ჩვენ თანაფერძნობთ შვილს, როცა ეცემა, როცა პირველ ნაბიჯებს დგამს, როცა ბიჭები ქუდს ართმევენ, როცა მოზარდ ასაკში სისულელებს სწადის, მაგრამ ვიცით, რომ მას ჰყოფნის ძალა ამ ყველაფრის დასაძლევად, ის იზრდება და ვითარდება. ჩვენ ბავშვს თანაფერძნობთ, მაგრამ არ ვიცოდებთ. იმედია, ამწნვეთ განსხვავებას. ხშირად სწორედ თანაგრძნობაა აუცილებელი. აუცილებელია, მხარი დავუჭიროთ ადამიანის გრძნობებს, მაგრამ ისე, რომ არ დავამციროთ სისუსტის გამო. თანაგრძნობაა აუცილებელი, რათა ადამიანი ნაბორძიკების შემდეგ ნამოდგეს და გზა განაგრძოს. პატარა უნდა წამოდგეს, რადგან დედას სჯერა მისი, ბავშვს კი სჯერა დედის. როცა ბავშვს ასეთი საფუძველი აქვს, გარე სამყაროდან მიღებული ტრავმა მისთვის უბრალოდ მოვლენა იქნება, ფასდაუდებელი გამოცდილება, ხოლო დედა – ის ნავსაყუდელი, საითაც ბავშვი იმისთვის მიემართება, რომ გაიხსენოს – თავად ძალიან კარგია და ყველაფერი გამოუვა!

მარიკა დვალნი

mkurnali.ge



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ძ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

